ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070206

ქვეპროგრამის დასახელება:

თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	30 000
სულ ბიუჯეტი:	30 000

ქვეპროგრამის მიზანი:

თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული ექთნების პროფესიული დონის ამაღლება, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, პრაქტიკული და თეორიული უნარ-ჩვევების დახვეწა, შენარჩუნება და განვითარება

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდების მიზნით ფუნქციონირებს თემის სამედიცინო პუნქტები. აუცილებლობა მოითხოვს თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემდგომ გაუმჯობესებას, მათ კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული ქვეპროგრამის შესაბამისად, 2014 წელს გადამზადდება თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული 228 ექთანი. (თემატიკა: 1. ბავშვთა ასაკის უხშირესი დაავადებათა მართვა საექთნო დონეზე, ბავშვთა კვებისა და განვითარების საკითხები; 2. მოზრდილი მოსახლეობის ქრონიკულ დაავადებათა მონიტორინგი და რეფერალის ჩვენებები). დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
თემის სამედიცინო პუნქტების მედდების გადამზადება	228	131,6	30 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			30 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი იურიდიული პირის შერჩევა		X		
მომსახურეობის მიწოდება			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდები გადამზადებულია. სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ექიმამდელი სამედიცინო მომსახურებით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.	თემის სამედიცინო პუნქტის ექთნების რაოდენობა	228	გადამზადებაში მონაწილე შესაბამისი სასწავლო ცენტრის მიერ წარმოდგენილი ტესტირების შედეგები	1 ჯერ; (გადამზადების დასრულების შემდეგ)	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს